პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2023 წლის _ _ მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წარმოდეგნილი ანგარიში შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამკტიცებული რეგლამეტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების
დაცვის განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4823072133**
თარიღი: **13/03/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: რუსთაველის ქ. N23

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გიგზავნით საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშს 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით:

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ

2022 წლის III - IN კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეულია. სამსახური უზრუნველყოფს ბიუჯეტის ფორმირების, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების, შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის შესახებ საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვას.

სამსახურის ძირითადი ამოცანაა სწორად განსაზღვროს რა სახის და რა მოცულობის თანხები უნდა მოიძიოს მუნიციპალიტეტმა აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სამსახური უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენას და მის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას, მუნიციპალური პროგრამების პროექტების საფინანსო გაანგარიშებას, საბუღალტრო, არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების აღრიცხვა, ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებას, ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანალიზის, შესაბამისი ინფორმაციებისა და წინადადებების მომზადებას; ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების წარმოებას.ბიუჯეტში ცვლილებების თაობაზე შესაბამისი პროექტის მომზადებას ანუ ყველა იმ საქმიანობის განხორციელებას, რომელიც დებულებითა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების საქმიანობაში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის გაუმჯობესების და საბიუჯეტო სახსრების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით გამოყენებისათვის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევას და ერთიანი საფინანსო დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვას, ფაქტობრივი ხარჯების, არაფინანსური აქტივებით, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციების ყოველდღიური აღრიცხვას;

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება;
- სახაზინო განყოფილება;
- ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება;

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამი განყოფილება წარმოდგენილია 13 თანამშრომლით. თანამშრომელთა, საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' , „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ , სამსახურის დებულების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

თანამშრომელთა შორის სამუშაო ფუნქციები გადანაწილებულია სამუშაო აღწერილობების მიხედვით და ფუნქციური დატვირთვით ხდება მათი ჩართულობა სახაზინო პროგრამაში.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება

მოგეხსენებათ ბიუჯეტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. იგი არის ყველა სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების ერთობლიობა. სადაც მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ეძებს საუკეთესო გამოსავალს შემოსავლებისა და ხარჯების დასაბალანსებლად. ცდილობს ბიუჯეტი განისაზღვროს იმგვარად, რომ მოიძებნოს საუკეთესო გამოსავალი ბიუჯეტის დასაბალანსებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება, რომლის ვალდებულებაა, საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვა, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულებაზე კონტროლს.

2022 წლის III- IN კვარტალში განხორციელდა ოთხი საბიუჯეტო ცვლილება და ექვსი შიდა ცვლილება მერის ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში ასახვით.

გარდა ამისა მერის ბრძანების შესაბამისად მოხდა 2022 წლის ბიუჯეტის ზრდა „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ"მთავრობის განკარგულებით (საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება) გამოყოფილი თანხის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასახვა და წარდგენილ იქნა საკრებულოში . ასევე საანგარიშო პერიოდში მომზადდა მერის ბრძანებით, ბიუჯეტის დაზუსტების ბრძანების პროექტები, რაც განაპირობა მუხლობრივმა ცვლილებებმა პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის, პრიორიტეტის ფარგლებში. აღნიშნული ასახული იქნა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში.

სამსახური აქტიურად მუშაობდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებასა და მის ზედამხედველობაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას რომ 2022 წლის მესამე-მეოთხე კვარტალში ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო ეტაპების ყველა პროცესს. ცვლილებებს, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ (ყველა განყოფილების ჩართულობით) მომზადდა ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ ნაზარდი ჯამით. მიმოხილვა ასევე მოიცავდა ინფორმაციას შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულებაში ასახულია აგრეთვე ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული, ბიუჯეტის შემოსულობების, თითოეული მუნიციპალური დაფინანსებაზე არსებული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების II- III კვარტლის შესრულების ანგარიში და სარეზერვო ფონდის ანგარიში) გაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერს და სახელმწიფო

რწმუნებულის ადმინისტრაციას. ასევე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს მომართვების თანახმად. ამავდროულად გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების მომზადება. მათ მიერ წარმოდგენილი სახაზინო ოპერაციების გადახდების წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენაზე ზედამხედველობა. არასრულყოფილი დოკუმენტაცია უბრუნდება გადამხდელს. განყოფილება ახორციელებდა ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლებისა და თვეების მიხედვით. კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას მიღებულ ბიუჯეტის შესრულებაზე, მიმდინარე ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე.

ასევე მომზადდა საანგარიშო პერიოდში და წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მიმართვები, საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოსარიცხი თანხების შესახებ, შესრულებული სამუშაოებზე შედგენილი მიღება - ჩაბარებების შესაბამისად.

განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან, მერის ბრძანებით გამოყოფილი თანხის ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში გაწერა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გადახდის განსახორციელებლად.

აღსანიშნავია რომ სამსახური აქტიურად განაგრძობდა მუშაობას „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N637 განკარგულების შესასრულებლად. მეოთხე კვარტალში წარდგენილი იქნა ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროში გრანტის მიღებასთან დაკავშირებით.

სახაზინო განყოფილება - ახორციელებდა დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში გადახდების განხორციელებას და შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით. ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო ხაზინის ერთიანი სისტემის მეშვეობით.

სახაზინო განყოფილების მიერ გადახდების განხორციელების მიზნით, თანხების გადარიცხვა ხდებოდა ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამების, ქვეპროგრამების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია. ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა რეგიონალური განვითარების ფონდისა (ინფორმაცია პროექტების მიმდინარეობის შესახებ), ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისათვის.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ყველა შემოსული განცხადების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მიერ ხდება საბიუჯეტო პროცესის ბუღალტრული დამუშავება და ბუღალტრული ანგარიშების მომზადება. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას) საფუძველზე. ასევე ხორციელდება საბიუჯეტო ასიგნებების ფინანსური და მატერიალური რესურსების ოპერატიული მართვისათვის აუცილებელი, ასევე სამეურნეო ოპერაციებზე და მის შედეგებზე, სანდო და სრული ინფორმაციის ბუღალტრულ პროგრამაში დროული ასახვა.სამსახურმა უზრუნველყო

ფინანსური ანგარიშგების მომზადება (მუნიციპალიტეტის ნაერთი ბალანსი, ბალანსის დანართებით).

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მოხდა მუნიცპალიტეტის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცება. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება მოხდა საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი არეგულირებს ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის შედგენას სსბასს საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

იგი ასევე ითვალისწინებს ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურის თავისებურებებს და სპეციფიკურ საქმიანობას.

- საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ხელფასებით, საავადმყოფო ფურცლით, მივლინებების გაანგარიშება ჩარიცხვა და დეკლარირება, სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და წარდგენა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. ბუღალტრული ანგარიშის მომზადება საბუღალტრო პროგრამა „ორისში". ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების და ამ ქონების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის დროული ასახვა ბუღალტრულ პროგრამაში.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა სუბსიდირება გაუწია 10 სხვადასხვა პროფილის მქონე არასამეწარმეო იურდიულ პირს, 9 მუნიციპალურ სამსახურს. ხელფასებით ანგარისსწორებას უწევს ყოველთვიურად 184 საშტატო და 25 არასაშტატო თანამშრომელს.

სამსახური მისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა შემოსული განცხადებებისა და წერილების განხილვა და მათზე რეაგირებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებდა მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის.

პატივისცემით საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ფატი გაგოშიძე